საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-1290

27/08/2021

ქ. თბილისი

გარდაბნის მუნიციპალიტეტში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ 10 ჰექტარზე მეტი ფართობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენებაზე (მზის ელექტროსადგურის განთავსება), 110 კილოვოლტი ძაბვის მიწისზედა და მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანასა და 110 კილოვოლტი ძაბვის ქვესადგურის განთავსებზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლისა და ამავე კოდექსის II დანართის 1.1 და 3.4 ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს, გარდაბნის მუნიციპალიტეტში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ 10 ჰექტარზე მეტი ფართობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენებაზე (მზის ელექტროსადგურის განთავსება), 110 კილოვოლტი ძაბვის მიწისზედა და მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანასა და 110 კილოვოლტი ძაბვის ქვესადგურის განთავსებზე სკოპინგის დასკვნა N42 (24.08.2021);
2. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ვალდებულია გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N42 (24.08.2021) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და გარდაბნის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი